ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/5

11/03/2021

5-01-17-4-202103111615

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 37-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) მამუკა ქათამაძე;

2. აღნიშნულ პირს დაევალოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების შესაბამისად საკონკურსო კომისიის განსაზღვრა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია საჯარო კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა